საინფორმაციო ომი სტალინის სასარგებლოდ სრულდება, მსოფლიოს ბელადის სასურველი ინფორმაცია ჩუმად და შეფარვით, თუმცა ეფექტურად მიეწოდება. პროპაგანდისტული მანქანაც მუშაობს, ერთი საუკნით ადრე სტალინი ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ძლიერ ფენომენს- საინფორმაციო ომს სათავისოდ იყენებს და მსოფლიოს თავს ,,დიდ ბელადად'' სთავაზობს.

ბიბლიოგრაფია

- თამარ ბელქანია -,,სტალინური კულტУРА!''
- შსს-ის არქივში დაცული დოკუმენტური მასალა

Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 4(3): 71 - 74 ISSN 2587-4667 Scientific Cyber Security Association (SCSA)

“DARKCOMET”-ის როლი სირიის კონფლიქტში“
„THE ROLE OF “DARKCOMET” IN THE SYRIAN CONFLICT“

ნათია ფილაშვილი _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, III კურსის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი.
Natia Pilashvili_ Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Sociology_Junior;
მარიამ კიკლიაშვილი _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, III კურსის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი.
Mariam Kikliashvili- Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Sociology_Junior;

ანოტაცია: XXI საუკუნეში, სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, გამოუვლენელი და გაუხსნელი დანაშაულების ყველაზე მზარდი ტენდენცია კიბერდანაშაულის კუთხით აღინიშნება, რომელსაც ხშირად „მომავლის დანაშაულსაც“ უწოდებენ. მავნე პროგრამები, რომლებიც კიბერდანაშაულის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია, თითოეულ ჩვენგანს მათ მსხვერპლად ადვილად გვაქცევს. იმ შემთხვევაში კი როცა საქმე ეხება მასობრივ კონფლიქტებს, იგი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითია სირიის მთავრობის მიერ „DarkComet”-ის გამოყენებით სრული კონტროლის მოპოვება მის ოპონენტებზე და სასურველი ინფორმაციის მიღება მათსავე სამოქმედო გეგმებზე.

ANNOTATION: In the 21st century, in parallel with rapid technological progress, the increasing trend of unsolved and inexcusable crimes is marked by cybercrime, often referred to as "the crime of the future." Malicious software, one of the key mechanisms of cybercrime, makes it easy for us to be victims of it. And when it comes to mass conflicts, it becomes even more important. One example of this is the Syrian government's use of „DarkComet“, to gain full control over its opponents and obtain desired information on their action plans.

საკვანძო სიტყვები: კიბერდანაშაული, კიბერშეტევა, დისტანციური მართვის მექნიზმი(RAT), „ტროიანი“, „ DarkComet”, „სირიის კონფლიქტი.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა უამრავი სიახლე შემატა საზოგადოებრივ ცხოვრებას, რასაც ბევრ დადებითთან ერთად უარყოფითი ასპექტებიც ახლავს თან. ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციისა და მომსახურების მიღება-გავრცელების ხელმისაწვდომობამ ერთი მხრივ ცხოვრება გაგვიმარტივა, თუმცა მეორე მხრივ კიბერდამნაშავეთა რეალურ სამიზნე ობიექტებად გვაქცია. კიბერდამნაშავეთაგან წამოსული საფრთხეები შეგვიძლია 2 ნაწილად დავყოთ: პროგრამული საფრთხეები და ინტერნეტ-თაღლითობა.

პროგრამული საფრთხეები ძირითადად მავნე პროგრამებთან, უსადენო ინტერნეტ-კავშირთან(Wi-Fi), კიბერშეტევებთან, მზა ჩანაწერებთან(Cookies) და ვირტუალური ფულის გამომუშავებასთან არის დაკავშირებული. მავნე პროგრამა გულისხმობს კომპიუტერული კოდს ან აპლიკაციას, რომელსაც თქვენი მოწყობილობისთვის, იქნება ეს კომპიუტერი, მობილური ტელეფონი თუ ტაბლეტი, დიდი ზიანის მიყენება შეუძლია და ამავდროულად თქვენი პირადი ინფორმაციის მოპარვაც.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ მავნე პროგრამას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „ტროიანი“ იგივე „ტროას ცხენი“. მისი სახელწოდება მოდის ქალაქ ტროასთან დაკავშირებული ბერძნული ლეგენდიდან, რომლის თანახმადაც, ბერძნებმა ტროას ასაღებად ააგეს უზარმაზარი ხის ცხენი, შიგნით ჩასვეს ბერძენი ჯარისკაცები, ცხენი ტროას კარიბჭესთან დატოვეს, თვითონ კი ჯარი უკან გააბრუნეს, თითქოს დაზავებას აპირებდნენ. ტროელებმა ცხენი ღმერთების საჩუქრად მიიჩნიეს და ქალაქში შეაგორეს; ღამით, როდესაც ყველას ეძინა, მეომრები გადმოვიდნენ ცხენიდან, ბერძენ ჯარისკაცებს გაუხსნეს ქალაქის კარიბჭე და ტროა მიწასთან გაასწორეს. დღეს ტროას ცხენს გადატანითი მნიშვნელობით იყენებენ, როგორც მტრისგან მიძღვნილ „საჩუქარს“, რითაც იგი ცდილობს მოწინააღმდეგისთვის მახის დაგებას.

„ტროიანი“ მიეკუთვნება ისეთ მავნე კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც ერთი შეხედვით უვნებლად გამოიყურება, ან თავს ინიღბავს ყველასთვის კარგად ცნობილ პროგრამად, რადგან მომხმარებლები მათ ინსტალირებას არ ერიდებიან და საფრთხეს ნაკლებად ხედავენ, მაგალითად „Facebook“, რომელიც არაერთხელ გამხდარა ჰაკერების იარაღი. მსგავსი ხრიკებით რიგითი კომპიუტერის მომხმარებელები ადვილად ტყუვდებიან და საკუთარი ნებით საშუალებას აძლევენ „ტროას ცხენს“ შევიდეს მათ კომპიუტერულ სისტემაში. მის მიზანს არ წარმოადგენს საკუთარი თავის რეპლიკაცია. ჰაკერები მას კომპიუტერული სისტემის დისტანციურ მართვის მექანიზმად(RAT -Remote Administration Tool) იყენებენ .

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ტროას ცხენი“ არის “DarkComet”. ის დისტანციური წვდომის ინსტრუმენტია, რომელიც შეიმუშავა ფრანგმა პროგრამისტმა ჟან-პიერ ლესუურმა, რითიც ცდილობდა პროგრამირებაში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას და არანაირი სხვა მიზანი მას არ ამოძრავებდა. “DarkComet” საშუალებას აძლევს მომხმარებელს გააკონტროლოს სისტემა გრაფიკული ინტერფეისით(GUI – Graphical User Interface). მისი საშუალებით შესაძლებელია ფოტოების გადაღება ვებკამერიდან, საუბრის მოსმენა კომპიუტერთან მიერთებული მიკროფონიდან; მას

შეუძლია მოახდინოს დაინფიცირებული აპარატის სრული კონტროლიზება, როგორც ნებისმიერი ფაილის გადატანა დაინფიცირებულ აპარატზე, ისე ნებისმიერი დოკუმენტის მოპარვა. როგორც ბლოგი “Malwarebytes” გვეუბნება, პროგრამა “DarkComet”-ის შეძენა ჰაკერების ფორუმზე 2012 წელს შესაძლებელი იყო 25 ევროდ, რაც მის ფინანურ ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს. “DarkComet”-ის ფართო გავრცელება სწორედ 2012 წლიდან დაიწყო და ასოცირდება ისეთ ფართომასშტაბიან მოვლენასთან, როგორიცაა სირიის კონფლიქტი.

The Syrian Malware Team(SMT) წარმოადგენს სირიის მავნე პროგრამების სამთავრობო ჰაკერების ჯგუფს, რომელიც იყენებდა დისტანციური მართვის მექანიზმს(RAT). კიბერუსაფრთხოების ფირმის “FireEyes”-ის ცნობით ეს ჯგუფი პირველად გამოჩნდა 2011 წელს და აქტიური იყო 2014 წლის ივლისამდე. როგორც „ESG“(Environmental, Social, and Governance)-ის უსაფრთხოების მკვლევრებმა დაადგინეს „DarkComet“-ს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სირიის მთავრობასა და პოლიტიკურ დისიდენტებთან.

სირიის მთავრობა იყენებდა „DarkComet“-ის პროგრამას, რათა წვდომა ჰქონოდა ოპონენტების კომპიუტერულ სისტემაზე. მთავრობამ ის გამოიყენა, როგორც ჯაშუში. „არაბული გაზაფხულის“ მოძრაობისთვის კი ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი იყენებენ ონლაინ სოციალურ ქსელებს და ძლიერ ეყრდნობიან ისეთ პროგრამას კომუნიკაციისთვის, როგორიცაა „Skype“. სიირის მთვარობამ „DarkComet“, სწორედ „Skype”-ის მეშვეობით გაავრცელა და შეძლო, რომ ერთი აქტივისტის დაკავებითა და მის პირად მონაცემებში შეღწევით, წვდომა ჰქონოდა მასთან კავშირში მყოფ აქტივისტებთან. ასევე სამთავრობო ჯგუფის წევრები, როგორც ქალი ანტისამთავრობო აქტივისტები უკავშირდებოდნენ მსხვერპლებს „Skype”-ით ან „Facebook”-ით, უგზავნიდნენ ქალის ფოტოს, რომელიც შეიცავდა მავნე პროგრამას. როდესაც ამ სურათს ხსნიდნენ, “DarkComet” აქტიურდებოდა მათ კომპიუტერზე და ფარულად აკავშირებდა სამთავრობო სისტემასთან. მთავრობის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენდა, მათ შეძლეს ანტისამთავრობო ჯგუფების სამოქმედო გეგმების გაშიფვრა, რის შემდეგაც დაიწყო მასობრივი დაკავებები.

მას მერე, რაც „DarkComet“ დაუკავშირდა სირიის რეჟიმს, ჟან-პიერ ლესუურმა შეწყვიტა ინსტრუმენტის შემუშავება და განაცხადა: ”- მე არასოდეს წარმომედგინა, რომ მთავრობა მას ჯაშუშობაში გამოიყენებდა, ეს რომ მცოდნოდა, არასოდეს შევქმნიდი ასეთ ხელსაწყოს.”

დღევანდელი მონაცემებით “DarkComet”-ის პროგრამაზე მუშაობა შეწყვეტილია, ხოლო მისი გადმოტვირთვა ოფიციალური ვებ-გვერდიდან აღარაა შესაძლებელი.

ამ შემთხვევამ ნათლად დაგვანახა, რომ სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის საუკუნე, არის დრო, როცა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უშუალოდაა დაკავშირებული ციფრულ ტექნოლოგიასთან და სოციალურ ქსელებთან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კიბერდანაშაულის რისკებს. განვიხილეთ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ტროიანი“ - Dark Comet”, რომლის შემქმნელს ისევე ვერ წარმოედგინა ამ ხელსაწყოს ბოროტად გამოყენება, როგორც აინშტაინს, ის, რომ მისი ფორმულა საფუძველი გახდებოდა ბირთვული იარაღის შექმნისა, რომლის ბოროტი მიზნებით გამოყენებამაც XX საუკუნეში უდიდესი ტრაგედიები გამოიწვია.

ბიბლიოგრაფია

1. McMillan, Robert. “How The Boy Next Door Accidentally Built a Syrian Spy Tool”(07/11/2012) https://www.wired.com/2012/07/dark-comet-syrian-spy-tool/?fbclid=IwAR1_9WwMBqk2iTsGLwXfmCn03Gt-1b0BK3MmERTEZOL2iAL2Ve69gfV_qHU
2. “DarkComet”(2012) https://www.enigmasoftware.com/darkcomet-removal/?fbclid=IwAR1iDHGo3W5J3PCL2sxpP5cyEmGWBzdJzzN1XI1jCuQvel5v1dowPc8006Q
3. “DarkComet Surfaced in The Targeted Attacks in Syrian Conflict”(23/02/2012) https://blog.trendmicro.com/trendlabs-security-intelligence/darkcomet-surfaced-in-the-targeted-attacks-in-syrian-conflict/?fbclid=IwAR0rc-2t2SlPbV-63JKASqZ6aX7fI5NJgQ29qVf6xXZGU8XXFCr1gJbT8AI
4. “DarkComet Analysis – Understanding the Trojan used in Syrian Uprising”(16/03/2012) https://resources.infosecinstitute.com/darkcomet-analysis-syria/?fbclid=IwAR39kzxgBnRkuD2X0F37f8F9XtNXyLvMOoFPT6dwO0eQiLP3tXQogmRHqCI#gref
5. "Spy code creator kills project after Syrian abuse". BBC. 10 July 2012. https://www.bbc.com/news/technology-18783064?fbclid=IwAR0DG-AyU1c3KDSDqqKoC9qyTuOkEQqYq6p7oXL5OgDrUFKVYMn4JIa5Yi8
6. “The use of cybertools in an internationalized civil war context: Cyber activities in the Syrian conflict”. Zürich, October 2017. https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/Cyber-Reports-2017-05.pdf?fbclid=IwAR1vUGDqF2xq-SyHH4MoECftOB-CIBMtGX_3ZWX4eDN5pyxk1Zks_Aq6QIo

Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 4(3): 75 - 74 ISSN 2587-4667 Scientific Cyber Security Association (SCSA)

რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოსა და უკრაინაში

RUSSIA'S HYBRID WARFARE IN GEORGIA AND UKRAINE

Ilia Khutsishvili
New Vision University

ანოტაცია. ჰიბრიდული ომის წარმოებისას სახელმწიფოთათვის დროული, სრულყოფილი და ობიექტური სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და კონტრსადაზვერვო რეაგირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სწორი, საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის გასატარებლად. ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მიმართულებას სწორედ ინფორმაციული ომის წარმოება წარმოადგენს, ვინაიდან ინფორმაციული ომის მიზანი სწორედ ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენაა.

ნაშრომის მიზანია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსა და უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომის პირობებში, რუსეთის სპეცსამსახურების დაინტერესების სფეროების, მიზნების, მისწრაფებებისა და ამოცანების გათვალისწინებით გამოიკვეთოს ძირითადი მიმართულებები, საფრთხეები და რისკ-ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება, ინფორმაციული ომი, დეზინფორმაცია, ჰიბრიდული ომი;

ABSTRACT. During the hybrid warfare obtaining timely, comprehensive and objective intelligence information and counter-intelligence responses for states is vital to pursuing the right, domestic and foreign policy course. One of the directions of hybrid warfare is to conduct information warfare, as the purpose of information warfare is to shape public opinion and to exert psychological influence on the population.

The purpose of this paper is to identify the main directions, threats and risk factors of the Russia’s special services in the context of the hybrid warfare to outline Russia’s special servises’ interests, goals, aspirations and objectives in Georgia and Ukraine.

Keywords: National Security, Information Warfare, Disinformation, Hybrid Warfare;

შესავალი*

ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანი საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას,

* ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან უწყების ოფიციალურ პოზიციას;

შეფასებასა და თავიდან აცილებას. ამისათვის სპეცსამსახურების მეშვეობით მიმართავენ სხვადასხვა ხერხს, როგორც ე.წ „მშვიდობიან“ ასევე აქტიურ საომარ მოქმედებებს.[1]

ბოლო პერიოდში წარმოებული ექსპანსიური პოლიტიკის (მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენება) გამო რუსეთის ფედერაციას საგრძნობლად დაეძაბა ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რამაც ფაქტიურად გამოიწვია მისი საერთაშორისო იზოლაცია, ამასთან დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა[2] (როგორც ევროკავშირის[3] ისე აშშ-ის მიერ დაწესებული) საგრძნობლად გააუარესა რუსეთის შიდა პოლიტიკური და სოციალური ვითარება. არსებული რეალობა აიძულებს რუსეთს, ე.წ ჰიბრიდული ომის ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით დააჩქაროს თავისი გეოპოლიტიკური გეგმის რეალიზება, რომლის მიზანია კონტროლის აღდგენა მთელს პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, რომელიც მიმართულია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე საკუთარის გავლენისა და პოზიციების აღდგენისაკენ, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის გაძლერებსაკენ.[4]

რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა მოქმედებება ჯერ საქართველოში, შემკდეგ უკრაინასა და სირიაში ნათლად წარმოაჩინა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ მათ ხელთ არსებულ სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებს. განსაკუთრებით აქტიურია რუსული პროპაგანდა და ინფორმაციული ომი, რომელშიც სპეცსამსახურებთან ერთად ჩართულია რუსეთის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტი.

1. რუსეთის მერ გამოყენებული ძალები და საშუალებები

სადაზვერვო საქმიანობა სახემწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სადაზვერვო საქმიანობის ძირითად პრინციპს მძლავრი საინფორმაციო აპარატის შექმნა და მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ირგვლივ მასშტაბური ინფორმაციის შეკრება წარმოადგენს. რუსეთის ფედერაციისთვის საქართველო და უკრაინა სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ და დღესდღეობით, როგორც მართვის მყარ ბერკეტად რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებულია ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება და საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბუფერულ ზონებად ჩამოყალიბებული სეპარატისტული რეჟიმები.

[1]Lind W.S., Nightengale K., Schmitt John F., Sutton J., Wilso G.I., The Changing Face of War: Into the Fourth Generation, Marine Corps Gazette, Oct 1989, 22;

[2] Congressional Research Service, U.S. Sanctions on Russia, January 11, 2019, https://fas.org/sgp/crs/row/R45415.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[3] Council of the European Union General Secretariat, EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine, 5 September 2018, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eu_restrictive_measures_in_response_to_crisis_in_ukraine_en.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[4] Jonavicius L., Delcour L., Dragneva R., and Wolczuk K., Russian Interests, Strategies, and Instruments in the Common Neighbourhood, No. 16, March 2019, <http://eu-strat.eu/wp-content/uploads/2019/03/EU-STRAT-Working-Paper-No.-16.pdf>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

2016 წლის 30 ნოემბერს რუსეთის ფედერაციამ დაამტკიცა საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია,[5] რომლის თანახმად, რუსეთის ერთ–ერთ პრიორიტეტად დასახელებულია გლობალურ საინფორმაციო სივრცეში რუსული მედია საშუალებების პოზიციების გაძლიერება და საერთაშორისო საზოგადოებისათვის საერთაშორისო პროცესებზე რუსული ხედვის მიწოდება. კონცეფციის მეოთხე თავი რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეგიონულ პრიორიტეტებს, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ეხება.

რუსეთის დაინტერესება საქართველოთი განპირობებულია, როგორც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყანა და კავკასიის რეგიონში მისი სტრატეგიული მნიშვნელობით, ხოლო უკრაინით დაინტერესება განპირობებულია, იმით რომ იგი წარმოადგენს ევროკავშირისა[6] და NATO-ს[7] დიდ სტრატეგიულ დასაყრდენს შავი ზღვის აუზში, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.* აგრეთვე რუსეთისთვის საყურადღებოა საქართველოსთან და უკრაინასთან[8] მიმართებით შემდეგი ასპექტები: დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკა, NATO-სთან თანამშრომლობის გაღრმავების დადებითი დინამიკა, საქართველოს მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტში[9] მონაწილეობა,* ენერგომატარებლებისა და ტვირთების საერთაშორისო სატრანზიტო

[5] Концепция внешней политики Российской Федерации, 30 ноября 2016 г. <http://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/2542248?p_p_id=101_INSTANCE_CptICkB6BZ29&_101_INSTANCE_CptICkB6BZ29_languageId=ru_RU> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[6] European Parliament Resolution „EU Strategy for the Black Sea“, 20 January 2011, http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[7] NATO Parliamentary Assembly Resolution #437 on STability And Security In The Black Sea Region, 09 October 2017, <https://www.nato-pa.int/download-file?filename=sites/default/files/2017-10/2017%20-%20RESOLUTION%20437%20-%20BLACK%20SEA%20-%20SCHMIDT%20%20-%20%20219%20CDS%2017%20E.pdf> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

* NATO-სთვის შავ ზღვას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მას სამხედრო თვალსაზრისით, დიდი ადგილი უჭირავს ევროპული კოლექტიური თავდაცვის სისტემაში. ამავდროულად რუსეთთან გამკლავების ერთ-ერთ ფრონტს წარმოადგენს და სხვადასხვა კონფლიქტებისა და დაპირისპირების ფონზე ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ტერორიზმის საფრთხემ და ახლო აღმოსავლეთში (კერძოდ, სირიაში) მდგომარეობის ესკალაციამ კიდევ უფრო დიდი სტრატეგიული დატვირთვა შესძინა ამ რეგიონს. აგრეთვე სირიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებისთვის შავი ზღვის აუზი NATO-ს, რუსეთისა და თურქეთის სამხედრო გემებისა და სხვა შეირაღების განთავსებისთვის სტრატეგიულ სივრცედ იქცა;

[8] Robert C., “Top Russian General Lays Bare Putin's Plan for Ukraine”, Huffington Post, 09 February 2014, <https://www.huffpost.com/entry/valery-gerasimov-putin-ukraine_b_5748480> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[9] The Eastern Partnership (EaP), https://www.euneighbours.eu/en/policy#the-eastern-partnership, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

* ,,აღმოსავლეთ პარტნიორობა“, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპულ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ფორმატი, წარმოადგენს შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას. მისი მთავარი მიზანია, ევროპელ პარტნიორებთან მიმართებაში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა და მისი აღმოსავლეთ განზომილების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ინიციატივა ამ ქვეყნებს, ევროკავშირთან მნიშვნელოვნად დაახლოების მიზნით, კონკრეტულ მექანიზმებს სთავაზობს და ახალ შესაძლებლობებს უხსნის. 2008 წლის 3 დეკემბერს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკაცია “აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ, რომელიც დამტკიცდა 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე;

ფუნქციის შეძენა,* დემოკარატიული პროცესების გაღრმავება, ქვეყანაში არსებული ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის სპეცსამსახურები სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებენ მათი სახელმწიფოების პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც იგი ატარებს საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებით.[10] შესაბამისად რუსეთი სადაზვერვო საქმიანობას წარმართავს, რათა გავლენა იქონიონ საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ-რელიგიურ პროცესებზე.

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი მოქმედებს თავისი საგარეო პოლიტიკური კონცეფციის - ე.წ „რბილი ძალის“ ფარგლებში,[11] რომელის შემადგენელი ნაწილია სახალხო დიპლომატია.

სახალხო დიპლომატია გულისხმობს პოლიტიკური (საერთაშორისო და რეგიონალური) პრობლემების განხილვას აკადემიურ და ექსპერტულ გარემოში, სადაც მოხდება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციის „შემოჩეჩება“. ამ მიზნის მისაღწევად „რბილი ძალის“ პოლიტიკა მიმართულია საქართველოში მრავალრიცხოვანი „ელიტური ფენის“ შექმნისაკენ (მეცნიერები, ჟურნალისტები, მასმედია, ექსპერტები, პოლიტიკოსები, მაღალი თანამდებობის პირები და პოლიტიკური ფიგურები), რომელიც ორიენტირებული იქნება რუსეთთან თანამშრომლობაზე. რუსეთი ცდილობს აღნიშნული ფენაში გააძლიეროს და გააფართოვოს პოლიტიკური ზეგავლენის წრე.

რუსეთის საგარეო უწყებისა და სპეცსამსახურების ხელშეწყობით მოქმედი ორგანიზაციების წარმოამადგენლები სისტემატიურად ჩადიან საქართველოში კონფერენციების, სემინარების, მედიაფორუმების, ტელევიზიებსა და საქსპერტო დისკუსიების გასამართად. აქტიურად ახორციელებენ საქართველოში პრორუსული ორიენტაციის ორგანიზაციების, კონკრეტული ჯგუფების ან პირების (სხვადასხვა პროექტის ფარგლებში) დაფინანსებას და აყალიბებენ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციებს. [12]

„ჰიბრიდული ომის“ ელემენტს საქართველოსთან მიმართებაში წარმოადგენს ზეწოლის ბერკეტად ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტორის გამოყენება, ე.წ „მცოცავი ოკუპაცია“ და „ე.წ „ ბორდერიზაციის პროცესი“.[13]

---

* აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ჩამოყალიბდა სტრატეგიული თანამშრომლობა კასპიის ენერგო რეუსრსების სატრანზიტო პროექტების, კერძოდ, ბაქო-სუფსის (WREP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (SCP) მილსადენების და აგრეთვე, საქართველოს საზღვაო ტერმინალების და რკინიგზის, ეფექტური უტილიზაციისთვის;

[10] HRW – Human Rights Watch, World Report 2019 – Ukraine, <https://www.hrw.org/world-report/2019/country-chapters/ukraine> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[11] რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, რედაქტორი: კაკოიაშვილი ი., ჩაგანავა ა., ვოთი ა., სნიპი ი., ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, 2016 წელი, გვ. 8-14;

[12] საერთაშორისო სამხრეთ კავკასიური მედია ფორუმი თბილისში, <https://euronews.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97/>, 27 ივნისი, 2017, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[13] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, ოკუპირებული ტერიტორიები, 01.01.2016-31.12.2016, გვ. 4-7;

საქართველოს მსგავსად, უკრაინასთან მიმართებითაც რუსეთის გავლენის ბერკეტს წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტორით მანიპულირება (ყირიმის, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები) და აღნიშნულ ტერიტორიებზე რუსეთთან მიერთების თაობაზე რეფრენდუმის ჩატარება.[14]

1.1 ეთნიკური უმცირესობებით მანიპულირება და კუთხური სეპარატიზმის ინსპირირება

საქართველო, რომელიც გეოპოლიტიკურად და სტრატეგიულად იმყოფება საკმაოდ რთულ რეგიონში, მის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებას სწორედ ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება წარმოადგენს.[15]

საქართველოში ეთნიკურ-რელიგიურ ფონზე დაპირისპირებისათვის ხელსაყრელი ნიადაგის შესაქმნელად, რუსეთის სპეცსამსახურების განსაკუთრებული დაინტერესების ობიექტს სწორედ ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა)[16] წარმოადგენენ, სადაც მიზანმიმართულად ახორციელებენ ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობაში დასპირისპირებისა და შუღლის ინსპირირებას.

კუთხური სეპარატიზმის გაღვივების მხრივ, რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესის სფეროში ექცევა აჭარა, სვანეთი და სამეგრელო, სადაც ცდილობენ კუთხური სეპარატიზმის გაღვივებას (მათ შორის რელიგიური კუთხით), რაც ქვეყნის მოსახლეობაში მუდმივი დაძაბულობისა და არეულობის განცდის გაჩენას ემსახურება, რათა გაჩნდეს სეპარატისტული კერები ქვეყანაში, ისე როგორც ეს განხორციელდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.[17] აღნიშნული რეგიონები (აფხაზეთი და სამაჩაბლო) საქართველოს ფაქტობრივი კონტროლის ზონიდან გავიდა, რამაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას, რითაც ფაქტობრივად შეიქმნა ე.წ ბუფერული ზონები. პრაქტიკულად სახეზეა ვითარება, როდესაც საქართველო სამართლებრივი კონტროლის ფონზე ფაქტობრივ კონტროლს ვერ ახორციელებს ზემოაღნიშნულ რეგიონებზე.

ანალოგიურად, ადგილობრივ მოსახლეობაში სეპარატისტული განწყობების ინსპირირებითა და მათზე სადაზვერვო შეღწევადობით მოახდინა რუსეთმა ყირიმის ანექსია[18] და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ოკუპაცია,[19] იმ საბაბით, თითქოსდა

---

[14] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Situation of human rights in the temporarily occupied Autonomous Republic of Crimea and the city of Sevastopol (Ukraine), P.1-3, <https://www.ohchr.org/Documents/Countries/UA/Crimea2014_2017_EN.pdf>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[15] საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფოს ტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი;

[16] ეთნოსთა შორის ოთანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი, საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებების შეფასება, რედ. ალეკსანდრა დელემენჩუკი, თბილისი, 2012, გვ. 9-17;

[17] კუხალაშვილი დ., „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ," შსს აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2016 წელი, გვ. 87-90;

[18] MH17: How did the conflict in Ukraine start?, By international correspondent Mark Corcoran, 29 Jul 2014, <https://www.abc.net.au/news/2014-07-29/mh17-how-did-the-conflict-in-ukraine-start/5629990> [წვდომის თარიღი: 18.09.2019];

აღნიშნულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სურვილი იყო გასულიყვნენ უკრაინის შემადგენლობიდან.* რეალურად რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მიზაზი გახდა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც სამხედრო-სტრატეგიული მიზეზებით შეიძლება აიხსნას. კერძოდ, კონტინენტურ ევროპაში NATO-ს სამხედრო მონოპოლიის დასრულება, NATO-სა და ევროკავშირის საზღვრების გაფართოების აღკვეთა და შავ ზღვაზე ერთპიროვნული სამხედრო კონტროლის მოპოვება.[20]

1.2 ენერგო რესურსებზე კონტროლი და ეკონომიკური ექსპანსია

უკანასკნელ ათწლეულში, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების ფონზე, ენერგო რესურსებით მანიპულირება საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთის ძირითად პოლიტიკურ ბერკეტად იქცა. ყოველივე ამას სპეცსამსახურები საკუთარი ინტერესების გატარებისათვის და სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის აქტიურად იყენებენ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რუსეთი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საქართველოში ეკონომიკური ბერკეტების შესაქმნელად. მათი სპეცსამსახურების მხრიდან გაძლიერდა ქვეყნს ეკონომიკური პოლიტიკის, პოტენციალისა და ბაზრის შესწავლა, რის შედეგადაც ხორციელდება კომპანიების შერჩევა საქართველოში შემოსასვლელად. რუსული ინვესტიცია განსაკუთრებით მსხვილი მასშტაბებითაა წარმოდგენილი ენერგეტიკის, ფინანსური, სატელეკომუნიკაციო და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროებში.

ეკონომიკური დაზვერვის კუთხით რუსეთის მიზანს მის ბაზარზე საქართველოს დამოკიდებულების ეტაპობრივი ზრდა და გაძლიერება წარმოადგენს. ამ კუთხით ღია წყაროებში არსებული მონაცემების ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ 2008 წლამდე და მის შემდგომ პერიოდში საქართველოს მიერ სტრატეგიული (მათ შორის ეკონომიკური და ენერგეტიკული) ობიექტები გადაცმულ იქნა რუსეთის ფედერაციისათვის ან მასთან დაკავშირებული კომპანიებისათვის. დიდი ალბათობით აღნიშნული ფაქტი სადაზვერვო ზეგავლენითა და შეღწევადობით არის განპირობებული.

რუსეთი აგრეთვე იყენებს ისეთ ფორმებს, როგორიცაა ეკონომიკური ბერკეტებით მანიპულირება (რუსული ბაზრის დახურვა, ქართულ პროდუქტზე შეზღუდვების დაწესება, რუსეთის ენერგო რესურსებზე საქართველოს დამოკიდებულება, პირდაპირი

---

[19] The army of the Lugansk and Donetsk People's Republics has 20,000 fighters – Gubarev, Information Telegraph Agency of Russia. 9 July 2014, <https://tass.com/world/739790>[წვდომის თარიღი: 18.09.2019];

* 2008 წლის აგვისტოს ომის წინ აფხაზეთში და განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონში დაიწყო რუსეთის ფედერაციის პასპორტების დარიგება, რაც ხელ-ფეხს უხსნიდა კრემლს, თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალები შემოეყვანა. იგივე სცენარით განვითარდა მოვლენები უკრაინაში, როდესაც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო კანონი, რომელიც უკრაინის მოქალაქეებს, სურვილის შემთხვევაში, დაჩქარებული წესით მიანიჭებდა რუსეთის მოქალაქეობას და კიდევ ერთ კანონი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ფედერაციისთვის უცხო ქვეყნის ტერიტორიების სწრაფი ტემპით მიერთებას ადგილობრივი მოსახლეობის რეფერენდუმის საფუძველზე;

[20] Radin A., Rach C., Russian Views of the International Order, Published by the RAND Corporation, Santa Monica, Calif, 2017, P. 79, https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1826/RAND_RR1826.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

ავიარეისების აკრძალვა), ფინანსური და ეკონომიკური შესაძლებლობების გარდაქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო და ინფორმაციულ იარაღად, ასევე საქართველოში შესაბამისი „რესურსების“ ინვესტირება“ რუსეთის პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად და საქართველოს „მეგობრად“ წარმოსაჩენად.

უკრაინაში რუსეთის მიერ ენერგო რესურსებით მანიპულირების მაგალითია რუსეთის მიერ უკრაინისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა და ამით ევროპისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა. უკრაინის სტრანზიტო როლის შემცირებამ შეუქმნა პრობლემები როგორც ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ასევე, ევროკავშირისთვისაც საფრთხის შემცველია, რომელსაც არ გააჩნია ენერგობაზარი და ძირითადად, რუსეთის ენერგორესურსებზეა დამოკიდებული.[21]

2. დეზინფორმაცია და კიბერელემენტები ინფორმაციული ომის წარმოებაში

სახელმწიფოში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხი განაპირობებს სახელმწიფოს პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და დივერსიებისგან დაცვის ხარისხს.

ინფორმაციული უსაფრთხოიების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს კიბერ უსაფრთხოება, რომელიც ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სახლემწიფოთათვის. ბოლო ათწლეულში მსოფლიოში მომხდარი კონფლიქტების დროს, სახელმწიფოთა სპეცსამსახურების მიერ აქტიურად გამოიყენება კიბერშეტევები. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კიბერშეტევები ხორციელდებოდა მასობრივად სახელმწიფოს საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სისტემაზე, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის პარალიზებას.[22]

საომარი მიმდინარეობის დროს სამხედრო კიბერშეტევების განხორციელება მოწინააღმდეგე სახელმწიფოზე ზუსტად ერგება ე.წ. ჰიბრიდული ომის კონცეფციას.[23] კიბერშეტევებით ხდება სახელმწიფოს იზოლაცია ცივილიზებული სამყაროსაგან და მისი მოქცევა ინფორმაციულ ვაკუუმში, რაც დამაზიანებლად მოქმედებს როგორც შეიარაღებული ძალების კოორდინირებულად მოქმედებაზე, ისე ქვეყნის მოსახლეობაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ ადგილი აქვს დეზინფორმაციის გავრცელებას, რაც იწვევს შიშს, პანიკასა და არეულობას მოსახლეობაში რომელიც უარყოფითად აისახება სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობაზე.

---

[21] BBC News, Ukraine crisis: Russia halts gas supplies to Kiev, < https://www.bbc.com/news/world-europe-27862849>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

[22] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, კიბერუსაფრთხოება, 01.08.2015-31.12.2015, გვ. 15;

[23] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, სექტემბერი, 2009, გვ. 256-258;

2014 წელს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს[24] განხორციელდა ისეთი კიბერ აქტივობები, როგორიცაა კიბერ შპიონაჟი, ანტისახელმწიფოებრივი და პროპაგანდისტული კამპანიები, კიბერ შეტევები უკრაინული მედიისა და სამთავრობო საიტებზე, NATO-სა და არასამთავრობო ორგანიზაციების საიტებზე.[25]

გარდა ამისა, რუსეთის დაზვერვის მიერ, ინტერნეტში არსებულ მონაცემები გამოიყენებოდა აღმოსავლეთ უკრაინაში განთავსებული უკრაინული სამხედრო შენაერთების ადგილმდებარეობის დასადგენად. აგრეთვე ხდებოდა დეზინფორმაციის გავრცელება ფორუმებზე, სოციალურ ქსელებში და საინფორმაციო სისტემაში. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედებების მიმდინარეობამდე უკრაინის საკომუნიკაციო არხების შესაძლებლობების შესახებ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეგროვება ხორციელდებოდა.[26]

3. მართლმადიდებლური ეკლესიისადმი დაინტერესება

უკრაინასა და საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის დიდი ავტორიტეტიდან და გავლენიდან გამომდინარე, იკვეთება რუსეთის სპეცსამსახურების მზარდი დაინტერესება აღნიშნულ ქვეყნებში მოქმედი მართლმადიდებლური ორგანიზაციებისა და სასულიერო იერარქების მიმართ, რომლებიც რელიგიური ღირსებისა და ეროვნული ტრადიციების დაცვის საბაბით შესაძლოა აქტიურად იქნან გამოყენებული მათი ინტერესებისათვის.[27]

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის საპატრიარქოს 2019 წლის 6 იანვარს, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს მიერ გადაეცა ტომოსი -ავტოკეფალიის შესახებ დოკუმენტი, რომელიც კონსტანტინოპოლის მხრიდან უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობას გულისხმობს. [28]

ამჟამად უკრაინაში სამი მართლმადიდებელი ეკლესიაა: უკრაინის მოსკოვის საპატრიარქოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც რუსეთს ექვემდებარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, უკრაინის კიევის საპატრიარქოს მართლმადიდებელი ეკლესია და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია. [29]

---

[24] Ukraine in Crisis, <https://www.cfr.org/backgrounder/ukraine-crisis>, [წვდომის თარიღი: 29.07.2019];

[25] Col. Kowalik T.K., and Jankowski D.P., Hybrid warfare – a known unknown?, Monday, 04 July 2016. http://neweasterneurope.eu/2016/07/04/hybrid-warfare-a-known-unknown/ [წვდომის თარიღი: 19.07.2019];

[26] U.S. Department of State, Congressional Notification, ICS-CERT, U.S. Department of Homeland Security, "Cyber-Attack Against Ukrainian Critical Infrastructure," < https://ics-cert.us-cert.gov/alerts/IR-ALERT-H-16-056-01> , February 25, 2016;

[27] კუხალაშვილი დ., „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ," შსს აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2016 წელი, გვ. 87-98;

[28] Bartholomew calls on leaders of autocephalous churches to recognize Orthodox Church of Ukraine Read, https://www.unian.info/politics/10399443-bartholomew-calls-on-leaders-of-autocephalous-churches-to-recognize-orthodox-church-of-ukraine.html, [წვდომის თარიღი: 29.07.2019];

[29]Bentzen N., EU, Ukraine: Religion and (geo-) politics Orthodox split weakens Russia's influence, Religious demography of Ukraine, February 2019, P.3,

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვის პერიოდში დადგინდა, თუ როგორ ცდილობდნენ რუსი ჰაკერები შეეღწიათ და მოეპოვებინათ საჭირო ინფორმაცია ამერიკელი დემოკრატების, სამხედრო კონტრაქტორებისა და სამხედრო მოსამსახურეების ცოლების, ამერიკული დაზვერვის თანამშრომლებისა და ჟურნალისტების ელექტრონული ფოსტებიდან.[30]

რუსი ჰაკერების მიზანს ასევე წარმოადგენდა მართლმადიდებელი სამყაროს უმაღლეს მღვდელმთავართა პირადი მიმოწერების ფარულად მოპოვება, ამა თუ იმ სასულიერო პირზე სხვადასხვა სახის მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვება, რათა გავლენა მოეხდინათ მათ პოზიციაზე უკრაინის ავტოკეფალიის საკითხში.[31]

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კატეგორიულად ეწინააღმდეგება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას და მიიჩნევს, რომ უკრაინა მისი კანონიკური ტერიტორიაა. უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობა გამოიწვევს რუსეთის სპეცსამსახურების პოზიციების შესუსტებას აღნიშული მიმართულებით, რომელიც სწორედაც რომ ჰიბრიდული ომის წარმოების ინსტრუმენტია, რომლის ჩავარდნაც უკრაინაში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს საგრძნობლად ასუსტებს.

დასკვნა

ნაშრომში მოყვანილი ფაქტების განხილვისა და გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ის ძირითადი მიმართულებები, საფრთხეები და რისკ-ფაქტორები, რომლებიც მიესადაგება რუსეთის მიერ წარმოებულ „ჰიბრიდული ომს“ უკრაინასა და საქართველოში, კერძოდ:

- უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ ინფორმაციული ომის საწარმოებლად კიბერ ომი, კიბერ ტერორიზმი, ჰაკერული შეტევები და სხვ. მიმართულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის პარალიზებისაკენ, რომელიც ემსახურება სამოქალაქო ან სამხედრო (ან კომბინირებულად ორივე ერთად) სექტორის დაზიანებას, დამთრგუნველი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და დეზინფორმაციის გავრცელებას, რასაც თან სდევს სადაზვერვო შეღწევადობისათვის ხელსაყრელი პირობებისა და საზოგადოების მიერ ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების, მასობრივი არეულობის, კანონიერი ხელისუფლების დამხობის წინაპირობების შექმნა;

- რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, თავიანთი ე.წ „წარმომადგენლების“ დახმარებით, „ჰიბრიდული ომის“ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა, ქვეყნის

<http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2019/635525/EPRS_BRI(2019)635525_EN.pdf> [წვდომის თარიღი: 29.07.2019];

[30] Raphael Satter, Jeff Donn, Desmond Butler, FBI leaves US targets of Russian hackers in the dark, <https://www.apnews.com/eb4df4898e334654a28de14dbfa7ab94> [წვდომის თარიღი: 30.07.2019];

[31] Raphael Satter, Ungodly espionage: Russian hackers targeted Orthodox clergy, <https://www.apnews.com/26815e0d06d348f4b85350e96b78f6a8> [წვდომის თარიღი: 30.07.2019];

სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების დონის შესწავლა და რუსეთისათვის სასარგებლო პროპაგანდის წარმოება მიმდინარეობს;

- რუსეთის მიერ მათ პოლიტიკაზე ორიენტირებული მასმედიის საშუალებების ფორმირება, ფინანსური მხარდაჭერა და მათი მეშვეობით მათთვის სასარგებლო პროპაგანდის წარმოება (ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია და საკუთარი საგარეო კურსის პოლულარიზაცია, მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, სეპარატისტული იდეების გაჟღერება, ეთნიკურ-რელიგიური შუღლის გაღვივება და სხვ.) მიმდინარეობს, რომელიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მოსახლეობაში რუსეთისთვის ხელსაყრელი განწყობების ჩამოყალიბებას ემსახურება;

- რუსეთის სპეცსამსახურები, თავიანთი ე.წ. „წარმომადგენლების“ დახმარებით, „ჰიბრიდული ომის“ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უკრაინისა და საქართველოში ეწევიან საკუთარი სახელმწიფოსათვის სასარგებლო პროპაგანდას.

- სადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში, ოპერაციული ქმედებების ნაწილს წარმოადგენს რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსაპოვებლად ისეთი სადაზვერვო ოპერაციების დაგეგმვა-განხორციელება, როგორებიცაა ემბარგო, ეკონომიკური ბლოკადა, ენერგო რესურსებით მანიპულირება, აღნიშნული ქვეყნების მიერ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად;

- რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საზოგადოებაში მიმდინარეობს პროცესების იმგვარად წარმართვა, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო და უკრაინა არ არიან მზად ევრო ინტეგრაციისათვის და აღნიშნული ქვეყნები წარმოაჩინოს არაევროპულ სახელმწიფოდ, სადაც ადამიანის უფლებების ტოტალურად ირღვევა.

ბიბლიოგრაფია

1. Lind W.S., Nightengale K., Schmitt John F., Sutton J., Wilso G.I., The Changing Face of War: Into the Fourth Generation, Marine Corps Gazette, Oct 1989, 22;

2. National Security Decision Directive 108 on “Soviet Camouflage, Concealment and Deception”, The White House, 12 October 1983, https://fas.org/irp/offdocs/nsdd/nsdd-108.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

3. Max B., “The Evolution of Irregular War: Insurgents and Guerillas from Akkadia to Afghanistan”, Foreign Affairs, 92 (2), 2013, 100-114;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კონფერენცია, ჰიბრიდული ომი და მისი გავლენა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებზე, 27 ოქტომბერი, 2015.

<https://mod.gov.ge/ge/news/read/4266/hibriduli-omi-da-misi-gavlena-natos-cevr-da-partnior-qveknebze>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019].

5. Hoffman, F.G., Hybrid Warfare and Challenges, JFQ / issue 52, 1st quarter 2009, 34;

6. Congressional Research Service, U.S. Sanctions on Russia, January 11, 2019, https://fas.org/sgp/crs/row/R45415.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

7. Council of the European Union General Secretariat, EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine, 5 September 2018, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eu_restrictive_measures_in_response_to_crisis_in_ukraine_en.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

8. Laurynas Jonavicius, Laure Delcour, Rilka Dragneva, and Kataryna Wolczuk, Russian Interests, Strategies, and Instruments in the Common Neighbourhood, No. 16, March 2019, <http://eu-strat.eu/wp-content/uploads/2019/03/EU-STRAT-Working-Paper-No.-16.pdf>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

9. Концепция внешней политики Российской Федерации, 30 ноября 2016 г. <http://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/2542248?p_p_id=101_INSTANCE_CptICkB6BZ29&_101_INSTANCE_CptICkB6BZ29_languageId=ru_RU> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

10. European Parliament Resolution „EU Strategy for the Black Sea“, 20 January 2011, http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

11. NATO Parliamentary Assembly Resolution #437 on STability And Security In The Black Sea Region, 09 October 2017, <https://www.nato-pa.int/download-file?filename=sites/default/files/2017-10/2017%20-%20RESOLUTION%20437%20-%20BLACK%20SEA%20-%20SCHMIDT%20%20-%20%20219%20CDS%2017%20E.pdf> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

12. Robert C., “Top Russian General Lays Bare Putin's Plan for Ukraine”, Huffington Post, 09 February 2014, <https://www.huffpost.com/entry/valery-gerasimov-putin-ukraine_b_5748480> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

13. The Eastern Partnership (EaP), https://www.euneighbours.eu/en/policy#the-eastern-partnership, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

14. HRW – Human Rights Watch, World Report 2019 – Ukraine, <https://www.hrw.org/world-report/2019/country-chapters/ukraine> [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

15. MH17: How did the conflict in Ukraine start?, By international correspondent Mark Corcoran, 29 Jul 2014, <https://www.abc.net.au/news/2014-07-29/mh17-how-did-the-conflict-in-ukraine-start/5629990> [წვდომის თარიღი: 18.09.2019];

16. The army of the Lugansk and Donetsk People's Republics has 20,000 fighters – Gubarev, Information Telegraph Agency of Russia. 9 July 2014, <https://tass.com/world/739790>[წვდომის თარიღი: 18.09.2019];

1. საერთაშორისო სამხრეთ კავკასიური მედია ფორუმი თბილისში, <https://euronews.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97/>, 27 ივნისი, 2017, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

2. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, ოკუპირებული ტერიტორიები, 01.01.2016-31.12.2016, გვ. 4-7;

3. რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია, თბილისი, 2016 წელი, გვ. 8-14;

4. Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Situation of human rights in the temporarily occupied Autonomous Republic of Crimea and the city of Sevastopol (Ukraine), P.1-3, <https://www.ohchr.org/Documents/Countries/UA/Crimea2014_2017_EN.pdf>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

5. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფოს ტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი;

6. ეთნოსთა შორის ოთანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი, საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებების შეფასება, რედ. ალეკსანდრა დელემენჩუკი, თბილისი, 2012, გვ. 9-17;

7. კუხალაშვილი დ., „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ,“ შსს აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2016 წელი, გვ. 87-90;

8. Radin A., Rach C., Russian Views of the International Order, Published by the RAND Corporation, Santa Monica, Calif, 2017, P. 79, https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1826/RAND_RR1826.pdf [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

9. BBC News, Ukraine crisis: Russia halts gas supplies to Kiev, < https://www.bbc.com/news/world-europe-27862849>, [წვდომის თარიღი: 27.07.2019];

10. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, კიბერუსაფრთხოება, 01.08.2015-31.12.2015, გვ. 15;

11. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, სექტემბერი, 2009, გვ. 256-258;

12. Ukraine in Crisis, <https://www.cfr.org/backgrounder/ukraine-crisis>, [წვდომის თარიღი: 29.07.2019];

13. Col. Kowalik T.K., and Jankowski D.P., Hybrid warfare – a known unknown?, Monday, 04 July 2016. http://neweasterneurope.eu/2016/07/04/hybrid-warfare-a-known-unknown/ [წვდომის თარიღი: 19.07.2019];

14. U.S. Department of State, Congressional Notification, ICS-CERT, U.S. Department of Homeland Security, "Cyber-Attack Against Ukrainian Critical Infrastructure," < https://ics-cert.us-cert.gov/alerts/IR-ALERT-H-16-056-01> , February 25, 2016;

15. კუხალაშვილი დ., „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ," შსს აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2016 წელი, გვ. 87-98;

16. Bartholomew calls on leaders of autocephalous churches to recognize Orthodox Church of Ukraine Read, https://www.unian.info/politics/10399443-bartholomew-calls-on-leaders-of-autocephalous-churches-to-recognize-orthodox-church-of-ukraine.html, [წვდომის თარიღი: 29.07.2019];

17. Bentzen N., EU, Ukraine: Religion and (geo-) politics Orthodox split weakens Russia's influence, Religious demography of Ukraine, February 2019, P.3, <http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2019/635525/EPRS_BRI(2019)635525_EN.pdf> [წვდომის თარიღი: 29.07.2019];

18. Герасимов В., „Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий,Опубликовано в выпуске № 8 (476), за 27 февраля, 2013 года <http://www.vpk-news.ru/articles/14632>, [ბოლო განალების თარიღი: 29.07.2019];

19. Antonenko A., Bambals R., Bērziņš J., Bond I.,Cepurītis M., Dobrokhotov R., Kažociņš J., Kudors A., Liuhto K., Nitsovych R., Pabriks A., Pavlenko O., The War in Ukraine: Lessons for Europe, The Centre for East European Policy, Studies University of Latvia Press Rīga, 2015, P. 44;

20. Raphael Satter, Jeff Donn, Desmond Butler, FBI leaves US targets of Russian hackers in the dark, <https://www.apnews.com/eb4df4898e334654a28de14dbfa7ab94> [წვდომის თარიღი: 30.07.2019];

21. Raphael Satter, Ungodly espionage: Russian hackers targeted Orthodox clergy, <https://www.apnews.com/26815e0d06d348f4b85350e96b78f6a8> [წვდომის თარიღი: 30.07.2019];